

საქართველო, რუსეთი და ჩრდილოეთ კავკასია: ოპტიმალური პოლიტიკის კიეზაში

ლევან კახიშვილი

შეჯამება


2008-2014 წლებში საქართველოს ორი არსებითად განსხვავებული პოლიტიკა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ. 2008-2012 წლებში საქართველოს პროაქტიული მიდგომა ჰქონდა და ჩრდილოეთ კავკასია და რუსეთი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილებოდა, ხოლო 2012 წლის შემდგომ პოლიტიკა, პრაქტიკულად, შეჩერდა და ჩრდილოეთ კავკასია რუსეთთან ურთიერთობების ჩარჩოში მოექცა. წინამდებარე ნაშრომი ხაზს უსვამს, რომ საჭიროა ბალანსის პოვნა რუსეთისთვის მისაღები პოლიტიკის წარმოებასა და საქართველოს ჩართულობას შორის რეგიონულ პროცესებში. ერთი მხრივ, საჭიროა რუსეთთან ურთიერთობების დალაგება, თუმცა, მეორე მხრივ, არ უნდა მოხდეს ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ანტაგონიზება და გაუცხოება; იმ მიღწევების უგულვებელყოფა, რომელთა რეალიზებაც 2008-2012 წლებში გახდა შესაძლებელი.

შესავალი

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ ახალი პოლიტიკა წამოიწყო ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ, რომელიც საბოლოოდ ინსტიტუტციონალიზებულ იქნა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში და მოექცა „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საქართველოს სახელმწიფო კონცეფციის“ ქოლგის ქვეშ. ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობების გაღრმავებასა და რუსული პროპაგანდის მიერ დემონიზებული საქართველოს იმიჯის გამოსწორებას. თუმცა მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად იზიარებდნენ ოფიციალურ ხედვას ამ პოლიტიკის შემქმნელები და რა მიზანს ისახავდნენ ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის განხორციელებისას. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტორები, რომელთა გამოც 2012 წლის

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აღნიშნული პოლიტიკა შეჩერდა.

ჩრდილოეთ კავკასია არასტაბილურობით გამოირჩევა და მიმდინარე კონფლიქტი საფრთხეს უქმნის მთლიანად კავკასიის რეგიონს. ინტერნეტგამოცემა „კავკასკი უზელის“¹ მიხედვით, 2014 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში დაიჭრა ან დაიღუპა 403 ადამიანი. 2010 წლიდან 2013 წლამდე ჩრდილოეთ კავკასიაში შეიარაღებულ კონფლიქტში დაიჭრა ან დაიღუპა 5291 ადამიანი, რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ ამ ოთხი წლის განმავლობაში ყოველდღიურად მინიმუმ 3 ადამიანი იყო კონფლიქტის მსხვერპლი. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ტენდენცია ბოლო ხუთი წლის მანძილზე არის კლებადი: თუ 2010 წელს მსხვერპლთა რიცხვი იყო 1705 ადამიანი, 2013 წელს ეს რიცხვი ყოველწლიურად კლებადი ტენდენციის შედეგად, თითქმის, განახევრდა და 986 ადამიანი შეადგინა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ის, თუ რა პოლიტიკა ექნება საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ: როგორ მოხდება კონფლიქტის შეკავება და ქართული რბილი ძალის გავრცელება რეგიონში.



წყარო: Кавказский узел, „Статистика жертв на Северном Кавказе с 2010 по 2013 год“.
 ხელმისაწვდომია: <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/239812/>.

¹ იხილეთ: Кавказский узел, „Северный Кавказ – статистика жертв“. ხელმისაწვდომია: http://www.kavkaz-uzel.ru/rubric/1103_da_Kavkazskiy_uzel_„Инфографика. Статистика жертв на Северном Кавказе с 2010 по 2013 год по данным «Кавказского узла»“. ხელმისაწვდომია: <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/239812/>

პოლიტიკა 2008-2012 წლებში – ჩრდილოეთ კავკასია და რუსეთი

აღსანიშნავია, რომ 2008 წლამდე საქართველოს ჩამოყალიბებული პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ არ ჰქონია. შესაბამისად, გარდამტეხი მომენტი, იყო რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი. ამის მიზეზი ერთი მარტივი გარემოება გახდა: ომში ჩრდილოეთ კავკასიელები რუსეთის მხარეს მონაწილეობდნენ. გარდა ამისა, ჩრდილოეთ კავკასიელები 90-იანი წლების კონფლიქტებშიც მონაწილეობდნენ ქართველების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, საქართველოში დაინყეს ფიქრი იმაზე, რომ საჭიროა ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს იმიჯის გაუმჯობესება. ეს პოლიტიკა, შესაძლოა, აღინეროს, როგორც ჩრდილოეთ კავკასია და რუსეთი – მიდგომა, რომელიც ამ ორ ერთეულს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიხილავს და, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სხვადასხვა პოლიტიკის გატარება მათთან მიმართებაში.

როგორც ირკვევა, ამ სტრატეგიის შემქმნელები საქართველოს ინტერესს შემდეგნაირად განსაზღვრავდნენ: ჩრდილოეთ კავკასია, როგორც ბუფერული ზონა საქართველოსა და რუსეთს შორის – მდგომარეობა, როდესაც რუსეთი ვერ აკონტროლებს ჩრდილოეთ კავკასიას და აქვს პრობლემები ამ რეგიონში, რაც, სავარაუდოდ, გამოიწვევს რუსეთის ყურადღების გადატანას სამეზობლოდან ქვეყნის შიდა საქმეებზე. თუმცა საქმე ის გახლავთ, რომ უგულვებელყოფილია ის გარემოება, რომ რუსეთის კონტროლის დაკარგვა ჩრდილოეთ კავკასიაში იწვევს ომებს, რადგან მოსკოვი დღევანდელი გადმოსახედიდან არ გეგმავს ჩრდილოეთ კავკასიასთან განშორებას. მსგავსი კონფლიქტები, კი როგორც გამოცდილება გვაჩვენებს, საქართველოშიც გადმოიღვრება ხოლმე და პრობლემებს გვიქმნის. შესაბამისად, შეიძლება საკითხის ამგვარად დასმა: რა უფრო დიდი პრობლემაა საქართველოსთვის – ის, რომ ჩრდილოკავკასიელები მონაწილეობენ ხოლმე საქართველოსა და რუსეთს შორის შეიარაღებულ დაპირისპირებაში, თუ ის, რომ თუ რუსეთი ომს დაიწყებს ჩრდილოეთ კავკასიაში, ამბოხებულები საქართველოში გადმოვლენ და შესაძლო თავშესაფარს იპოვიან.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, უმთავრესი პრობლემა არის ის, რომ შესაძლოა, არასწორი საკითხის პრობლემატიზაცია მოხდეს. პრობლემად წარმოჩენილია ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთ კავკასიელები ქართველების წინააღმდეგ იბრძ-

ვიან. ეს, რა თქმა უნდა, პრობლემაა, მაგრამ თუ ამ საკითხს მივიჩნევთ მთავარ პრობლემად, შესაძლოა, რეალობას ავცდეთ. ამ მიდგომით, აქტიური შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთთან არის მოცემულობა, ამ კონფლიქტის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება არ ხდება და მისი მოგვარების მცდელობის ნაცვლად, საქართველო ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი იბრძოდეს რუსეთის მხარეს საქართველოს წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს რეალობის სწორად განსაზღვრა. პირველი, თუ შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის გარდაუვალია, ფაქტია, რომ საქართველო საკუთარი შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე რუსეთთან ომში ვერ გაიმარჯვებს. ამ შემთხვევაში რუსეთს შეუძლია საქართველოს დამარცხება ჩრდილოეთ კავკასიელების პირდაპირი, ასე ვთქვათ, დახმარების გარეშე. თუნდაც თუ ავიღებთ არარეალისტურ სცენარს და დავუშვებთ, რომ საქართველო აირჩევს პარტიზანულ ტაქტიკას და რუსეთს არ მისცემს საშუალებას, რომ დაამარცხოს, საქართველო გამარჯვებული, როგორც ასეთი, მაინც ვერ გამოვა იმ დანაკარგის გამო, რაც ასეთი ომის წარმოებისთვის არის საჭირო. მეორე, თუ კონფლიქტი რუსეთთან გარდაუვალია, საქართველომ საკუთარი შეზღუდული შესაძლებლობების ფოკუსირება უნდა მოახდინოს ისე, რომ კონფლიქტმა რაც შეიძლება შორს გადაინაცვლოს დროში. და ბოლოს, არ აქვს მნიშვნელობა, რამდენს იმუშავებს საქართველო ჩრდილოეთ კავკასიაზე, მანამ სანამ ეს რეგიონი რუსეთი ფედერაციის შემადგენლობაშია, დიდად სავარაუდოა, რომ რუსეთი ყოველთვის იპოვის ისეთ პირებსა და დაჯგუფებებს, რომლებიც სიამოვნებით დათანხმდებიან ომში მონაწილეობას არა იმიტომ, რომ მათ რუსეთი უყვართ ან საქართველო სძულთ, არამედ იმიტომ რომ ომი არის მათი ცხოვრების წესი და შემოსავლის წყარო.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს უფრო მნიშვნელოვანი საკითხები, რომლის გვერდითი ეფექტიც გახლავთ ჩრდილოკავკასიელთა მონაწილეობა ქართულ-რუსულ შეიარაღებულ კონფლიქტში. შესაბამისად, მთავარი პრობლემა თავად ამ კონფლიქტის არსებობაა რუსეთთან. საქართველოს მიზანი უნდა იყოს არა ის, რომ როდესაც რუსეთთან ომი მოხდება რუსეთი იყოს სუსტი, არამედ ის, რომ რუსეთთან ომი არ მოხდეს. რა თქმა უნდა, ეს უაღრესად რთული ამოცანაა, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა და რუსეთთან დაძაბული ურთიერთობების პირობებში საქართველოს რესურსები და

სამხედრო ძალა ჩრდილოელი მეზობლისთვის შემაკავებელ ფაქტორს არ წარმოადგენს.

საქართველომ, როგორც პატარა ქვეყანამ, საკუთარი რესურსები უნდა მიმართოს კონკრეტული არსებითი პრობლემების გადაწყვეტის და არა ამ პრობლემების გვერდითი ეფექტების მოგვარებისკენ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, თუ საქართველო შეძლებს თავიდან აირიდოს ან უსასრულოდ გადაავადოს რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტი, ჩრდილოეთ კავკასიელების პრობლემა უსაფრთხოების ამ განზომილებაში ავტომატურად მოიხსნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩრდილოეთ კავკასია უსაფრთხოების თვალსაზრისით სხვა გამოწვევების წყაროც შეიძლება გახდეს, რაც დიდწილად უკავშირდება რადიკალური ისლამიზმის გაძლიერებას მთლიანად რეგიონში და, მათ შორის, გარკვეულწილად საქართველოშიც.

პოლიტიკა 2012 წლის შედეგ – ჩრდილოეთ კავკასია რუსეთში

საქართველოს პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, შესაძლებელია შეფასდეს, როგორც პოლიტიკის არქონის პოლიტიკა და, როგორც მიდგომა – ჩრდილოეთ კავკასია რუსეთში. მოცემული მიდგომის მიხედვით, ამ ორი ერთეულის ერთმანეთისგან განცალკევება არ ხდება და საქართველოს პოლიტიკა (ან პოლიტიკის არქონის პოლიტიკა) მოქცეულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ჩარჩოში. რადგანაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები დაძაბულია და რუსეთს აღიზიანებს საქართველოს აქტიურობა ჩრდილოეთ კავკასიაში, ეს აქტიურობა 2012 წელს მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ, პრაქტიკულად, სრულად შეაჩერა. ნინა მთავრობის პოლიტიკის ძირითადი კომპონენტები შეჩერდა, ხოლო მეორეხარისხოვანი მიმართულებები ინერციით გაგრძელდა. ამასთან, დამატებით გარემოებას წარმოადგენს ისიც, რომ ხელისუფლების ცვლილების ფონზე დაიკარგა ინსტიტუციური მეხსიერება – მაღალჩინოსნების ჩანაცვლების შედეგად ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ურთიერთობის გამოცდილებაც დაიკარგა.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი წინასაარჩევნო დაპირება რუსეთთან ურთიერთობების დალაგება იყო. მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის შედეგად დატოვებული პოლიტიკური მემკვიდრეობა უაღრესად დაძაბულ ურთიერთობებს გულისხმობდა თბილისსა და მოსკოვს შორის,

ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე გამოხატა მზაობა რუსეთთან დიალოგის დასაწყებად. შესაბამისად, ურთიერთობების დალაგება ჩრდილოელ მეზობელთან მმართველი კოალიციის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება გახდა. შედეგად, ურთიერთობებმა ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებთან უკანა პლანზე გადაინაცვლა და ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზების ჩარჩოში მოექცა. ეს კი გულისხმობს, რომ პრიორიტეტია იმის გამუდმებული დემონსტრირება, რომ საქართველო რუსეთთან დიალოგისთვის არის მზად, რაც საქართველოს ჩრდილოკავკასიურ პოლიტიკასთან მიმართებაში იმას ნიშნავს, რომ ხდება გამუდმებული ხაზგასმა იმისა, რომ ჩრდილოეთ კავკასია არის რუსეთის ნაწილი და, რომ საქართველო ურთიერთობს რუსეთთან როგორც ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულთან და არა მის შემადგენელ ნაწილებთან ცალ-ცალკე.

მეორე მხრივ, საქმე ეხება პოლიტიკური ნების არარსებობასაც, რაც შესაძლებელია, რომ შეიცვალოს, რადგან ურთიერთობები რუსეთთან და ურთიერთობები ჩრდილოეთ კავკასიასთან შეიძლება სულაც არ იყოს ურთიერთგამომრიცხავი. შესაბამისად, თუ ასეთი შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა მაინც შეჩერებულია, საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გარდა, მდგომარეობის ასახსნელად საჭიროა ისეთი ფაქტორიც, როგორცაა ინსტიტუციური მეხსიერება.

რა თქმა უნდა, რთულია იმის შეფასება, რამდენად გადავიდა ინსტიტუციური მეხსიერება ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ახალი მმართველი ძალის ხელში, თუმცა ორი ფაქტორის გათვალისწინებით, ამ დასკვნის გაკეთება შესაძლებელია. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საქართველოში ინსტიტუტები სუსტადაა განვითარებული და შესაბამისად, ინსტიტუციური მეხსიერება თავისთავად არის მწირი. მეორე მხრივ, ეს ინსტიტუტები, თუნდაც ნაკლებად განვითარებული, მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის ხელში იყო ცხრა წლის განმავლობაში და ხშირად ხდებოდა ინსტიტუტების პერსონებზე მორგება. სავარაუდოდ, სწორედ ასეთი პიროვნებების ჩანაცვლებისას მოხდა ისედაც მწირი მეხსიერების დაკარგვა.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკუთარი მმართველობის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, აქტიურად შეისწავლა ჩრდილოეთ კავკასია და მოახერხა პირადი კონტაქტების დამყარება პანკისში მნიშვნელოვან

ლიდერებთან. თუ ეს ყველაფერი განიხილება იმ ფონზე, რომ მოხდა ჩერქეზების გენოციდის აღიარება, სავიზო რეჟიმის გაუქმება, რის შედეგადაც ჩრდილოკავკასიელ მუსლიმებს გაუმართივდათ საუდის არაბეთში რელიგიური მსახურების აღსავლენად გამგზავრება, ჩრდილოეთ კავკასიელებს საქართველოსადმი ნდობა გაუჩნდათ, რაც მანამდე პრობლემური საკითხი იყო. მეორე მხრივ, „ქართული ოცნების“ მიერ საზღვრების კონტროლის გამკაცრებამ ამ ნდობაზე უარყოფითად იმოქმედა – ჩრდილოკავკასიელებს პრობლემები ექმნებათ საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას. ამას ემატება ისიც, რომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება ხდება, რის გამოც ჩრდილოეთ კავკასიაში შიშობენ, რომ საქართველო რუსეთთან ურთიერთობებს მათ „ხარჯზე“ დაარეგულირებს. აქედან გამომდინარე, პირადი კონტაქტების არარსებობის პირობებში და მწირი ინსტიტუციური მეხსიერების გამო, რთულდება ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

2012 წლის პოლიტიკურ ცვლილებებთან მიმართებაში, ერთი რამ ცხადი ხდება: კოალიცია „ქართული ოცნება“ ჩრდილოეთ კავკასიას განიხილავს რუსეთის ნაწილად. შესაბამისად, ამ რეგიონთან ატარებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც არ ეწინააღმდეგება მის მიდგომას რუსეთთან მიმართებაში. ამიტომ „ქართული ოცნების“ გადმოსახედიდან ბუნებრივიცაა, რომ პოლიტიკა შეჩერდა.

დასკვნა

მთავარი შეკითხვა, რომელსაც საქართველომ უნდა უპასუხოს, არის ის, თუ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს საქართველოს პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ. 2008-2012 წლებში ამ კითხვის პასუხი იყო ბუფერული ზონის შექმნა საქართველოსა და რუსეთს შორის. 2012 წლის შემდეგ კი ამ კითხვის პასუხი არის რუსეთის გაღიზიანების თავიდან აცილება. აშკარაა, რომ არც ერთი ეს მიდგომა არ არის საქართვე-

ლოსთვის ოპტიმალური. ერთი მხრივ, აუცილებელია, საქართველოს არ ჰყავდეს მტრულად განწყობილი მეზობელი ხალხები ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო, მეორე მხრივ, უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველოს პრესტიჟის ზრდა არ მოხდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ხარჯზე. სწორედ ამ ორი მიზნის ურთიერთკომპრომისისა და დაბალანსების მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს საქართველოს ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა. პირველი მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება, იყოს საქართველოს ჩრდილოკავკასიურ პოლიტიკის კოორდინაცია მოსკოვთან. მეორე მიზნის მისაღწევად კი, სავარაუდოდ, ოპტიმალური მიდგომა კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამებია. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იფიქროს, პირველ რიგში, როგორ მიაღწიოს თავის მიზანს ჩრდილოეთ კავკასიაში და როგორ მოახერხოს ეს მოსკოვის თანხმობით.

პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს როგორც საქართველოსთვის, ისე – რუსეთისთვის, არის რადიკალური ისლამიზმი. აღსანიშნავია, რომ სოჭის ოლიმპიადის დროს ქართულ და რუსულ სპეცსამსახურებს შორის შედგა გარკვეული თანამშრომლობა, რომლის დეტალებიც საზოგადოებისთვის უცნობია. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მომავალში მსგავსი ტიპის თანამშრომლობა სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. ამ პრაქტიკის გამოყენება და განვითარება, შესაძლოა, ორივე მხარის ინტერესებში იყოს. ამასთან, მსგავსმა თანამშრომლობამ, სავარაუდოდ, რუსეთი უნდა დაარწმუნოს იმაში, რომ საქართველო არ ეწევა დივერსიულ საქმიანობას ჩრდილოეთ კავკასიაში და, რომ თბილისის მთავარი ინტერესი რეგიონის სტაბილურობაა. თუ საქართველო მოახერხებს ჩრდილოეთ კავკასიაზე გავლას ისე, რომ ამ პროცესს რუსეთმა ხელი არ (და არა ვერ) შეუშალოს, ეს იქნება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ხელშესახები წარმატება ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

4

ნაშრომი შეიქმნა პროექტის „ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „კონფლიქტის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით.

პუბლიკაციის შინაარსი არ გამოხატავს დიდი ბრიტანეთის მთავრობის აზრს.

კავკასიური სახლი THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS CAUCASIAN HOUSE

საქართველო, თბილისი, 0105
გალაკტიონის ქ. №20

www.caucasianhouse.ge; www.regional-dialogue.com
Email: info@caucasianhouse.ge